# ნიანგი

8

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემის 52-ე წელი. (№ 1450). აპრილი. 1975. ფასი 20 კაპიკი.



— რას გვეტყვით საცხენოსნო სპორტის პერსპექტივებზე?
— ვეტერანებს ვერ დაგვემდურებით: თბილისში მე და ვახტანგი ვზივართ ცხენზე, კასპში — გიორგი და თელავში — ერეკლე!

ნახ. ჯ. ლოლუასი






ნახ. ს. ნადარეიშვილისა
„ნიანგი“ №4, 1942 წ.

ნახ. ვ. ისაევისა
„ნიანგი“ №3-4, 1944 წ.



— აქ რას უზიხარ, შე არამზადავ?! იმალები, განა?!
— როგორ თუ რას ვუზივარ, ბატონო ლეიტენანტო! მე ვიმყოფები ჩემს ოცეულში!..

მოლაყბე—ფაშიზმის მსახურია

## ფრონტის გაზეთებიდან

### ზუსტი პასუხი

— აბელ, მითხარი: რა განსხვავებაა კაიზერსა და ფიურერს შორის?
— პირველი გააძევეს და მეორეს კი ჩამოახრჩობენ, ბატონო მასწავლებელო!

### გერმანელ ჯარისკაცთა ჩვეულებრივი საუბრიდან

— ფიურერი შეგვპირდა, რომ საალდგომოდ მოგვცემენ თითო ნაჭერ შაშხს.
— საიდან იცის მან, რა საჭმელს იძლევიან საიქიოში.

(„მამულიშვილი“)
„ნიანგი“ № 14 1942 წ.

### დისციპლინარული სასჯელი

ფელდფებელი — წუპაკებო, მე თქვენ გიჩვენებთ როგორ უნდა დისციპლინის დარღვევა! ჯარისკაცო ხელბატ!

ჯარისკაცი — აქ ვარ!

ფელდფებელი — ბანაკიდან თვითნებურად წასვლისათვის მე შენ გსჯი ათი დღით პატიმრობით! მოგეცემა მხოლოდ პური და წყალი. გესმის?

ჯარისკაცი — მესმის, ბატონო ფელდფებელო, დიდ მადლობას მოგახსენებ, ძლივს მეღირსა. ამდენ ხანს მარტო წყლის მეტი არაფერი მეძლეოდა...

(„ფრუნზელი“) „ნიანგი“ № 15, 1942 წ.

### გასაჭირის ჟამს

ოფიცერი — ჯარისკაცებო, თქვენ გარემოცული ხართ თვით ფიურერის სიყვარულითა და მზრუნველობით!

ჯარისკაცები — ბატონო ოფიცერო, უმჯობესია გვითხარით, როგორ დავაღწიოთ თავი ამ გარემოცვას!

(„სტალინელი“) „ნიანგი“ №12, 1942 წ.

## „ნიანგის“ კონკურსის შედეგები

შეჯამდა ჟურნალ „ნიანგის“ მიერ 1974 წლის თებერვალში საუკეთესო სატირულ - იუმორისტულ ნაწარმოებებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგები.

კონკურსის ჟიურის პირველი პრემია არავისთვის არ მიუნიჭებია.

მეორე პრემია მიენიჭა: ვალერიან მამუკელაშვილს ლექსისათვის — „რა იქნება, დაგვაძინოთ?!“ (დევიზი — „ტანწერწეტა“), ირაკლი ჟიჟიანს ფელეტონისათვის — „ხელი ჩაიქნია და... წავიდა!..“ (დევიზი — „აჰურამაზდა“).

მესამე პრემია დაიმსახურეს: აკაკი მუხურაძემ მოთხრობისათვის — „თათბირი“ (დევიზი — „არაგვი“), კახი პატიაშვილმა ფელეტონისათვის — „ორი ავტობიოგრაფია“ (დევიზი — „უ. კ. ბილო“).

პრემია ნახატი კარიკატურების საუკეთესო თემებისათვის მიეკუთვნა: კახი პატიაშვილს თემისათვის — „საცხენოსნო სპორტი“ (დევიზი „უ. კ. ბილო“), ტარიელ ზანგურაშვილს თემისათვის — „გზის გასაყარზე“ (დევიზი — „გარდამქმნელი“).

პრემირებული და დასაბეჭდად რეკომენდებული მასალები გამოქვეყნდება „ნიანგის“ მომდევნო ნომრებში.

კონკურსის ჟიური




— აქას ნამდვილად ვიღაცაში ვეშლებით. ტრაქტორის სათადარიგო ნაწილებს გვთხოვს!




უსიტყვოდ

## ასე რომ იყოს, მაშინ...

ერთ საქმეზე რომ [illegible] ჯერ არ იყოს მისასვლელი, პირიქით, ათ საქმეს ერთი მისვლა რომ [illegible] ჰყოფნიდეს, მაშინ როგორ [illegible] საქმეებს!

● „რა შევიძინოს“ მაგივრად რომ „რა შევქმნოს“ ვფიქრობდეთ, მაშინ რამდენ რამეს შევიძენდით!

● თევზი რომ ხმელეთზე ცხოვრობდეს და ბრაკონიერი — წყალში, მაშინ როგორ გადაშენდებოდნენ ბრაკონიერები საწამლავისა და დინამიტისაგან!

● ალმართზე რომ იყოს დაღმართი და დაღმართზე — ალმართი, მაშინ, ალბათ, არაფერიც არ შეიცვლებოდა!

● ზოგიერთს ფეხების ადგილზე ხელები რომ ჰქონდეს, მაშინ რამდენი მოყიალე ფეხოსანი გარდაიქმნებოდა ხელოსნად!

● შავი რომ თეთრი იყოს და თეთრი — შავი, მაშინ ვერავინ მოგვაჩვენებდა შავს თეთრად და თეთრს — შავად!

აპოლონ ბასილაია

ირაკლი ჟიჟიანი

# ხელი ჩაიქნია და... წავიდა!..

ხელის ორიოდე აქნევ-ჩაქნევის შემდეგ, რასაც გამამხნევებელ ვარჯიშად თვლიდა, არისტო გასაგრილებლად შხაპს შეეყუდა, მაგრამ იქიდან, წყლის ნაცვლად, ხრიალი წამოვიდა. „როდის უნდა მიელოს ბოლო ამ უმსგავსობას?!“ — გაიფიქრა არისტომ. „ახლა უნდა აილო, დარეკო წყალსადენში და ერთი კარგად შეახურო ის უსაქმურები!“ — ბობოქრობდა გუნებაში, მაგრამ... „დარეკო, თორემ უცებ არ დაირეკოს!“ — ჩაეცინა არისტოს, მიაგდო დადუმებული ყურმილი, ხელი ჩაიქნია და... კარი გაიჯახუნა!..

გადგა თუ არა ფეხი სადარბაზოდან, თავზე რაღაც დაეცა და პერანგზე ჩამოეთხვარა. „მგონი, ტოლმაა!“ — გაიფიქრა არისტომ, უსუნა პერანგს და გამწარებით აიხედა მაღლა: ვიღაც მეზობელი დამშვიდებული სახით ქვაბებს არახუნებდა. „ახლა უნდა ახვიდე კაცი, ერთი მაგრად გამოლანძღო ამ უზრდელობისათვის და... “ — ოდნავ შეყოვნდა არისტო, მერე სასწრაფოდ მოსწყდა ადგილს, ახლა ქვაბი არ ჩამოუვარდესო, ხელი ჩაიქნია და... წავიდა!..

ტროლეიბუსში მოკალათება და ცხვირში პაპიროსის შებოლება ერთი იყო. არისტომ მრისხანედ შეხედა თავხედს. „უყურე ახლა ამას?! ჩანთაც რომ დაუჭერია ხელში და აქედანვე არაფრად აგდებს საზოგადოებას?! ახლა უნდა გაიგოს კაცმა ამისი სკოლა, ბინის მისამართი, აცნობოს მისი საქციელის შესახებ მშობლებს!..“ — მძვინვარებდა არისტო გუნებაში, მაგრამ...“ ვერც სკოლას შეუგნებინებია ამისთვის რამე, ვერც — მშობლებს და, ნეტავი, მე რა მრჯის?!“ — გაიფიქრა არისტომ, ხელი ჩაიქნია და... იქაურობას გასცილდა!..

წინ გაჭრილ არისტოს უცებ ერთი ახალგაზრდის სახე ეჩვენა საეჭვოდ... დააკვირდა და გაქვავდა: ახალგაზრდა ჩანთას უხსნიდა მის წინ მდგომ მანდილოსანს. შეჩქვიფდა არისტო. „ახლა უნდა სტაცო ხელი ფაქტზე, ჩაათრიო და მილიციას ჩააბარო! ჭკუას ასწავლიან!“ — გაიფიქრა არისტომ, მერე წარმოიდგინა, რა გართულება შეიძლება მოჰყოლოდა ამას, ჩაიქნია ხელი და... გასასვლელისაკენ წავიდა!..

დღის ბოლოს სამსახურში კრება ჩაატარეს და, სხვათა შორის, არისტოსაც მოსცხეს ამ კრებაზე: მასალების გადმოცემა დააგვიანა და ამით საქმე შეაფერხაო. არისტომ იცოდა, რომ ცამდე მართალი იყო. მან კი არ დააგვიანა, მას დაუგვიანა სამუშაოს გადმოცემა, აი, იმ ვაჟბატონმა, გაბღენძილი რომ ზის! მომხსენებელმაც იცის საქმის ნამდვილი ვითარება, მაგრამ მან ისიც იცის, რომ ის პროტექციითაა მიღებული და დირექტორის მფარველობით სარგებლობს. მისი გაკრიტიკება დირექტორის წყენას ნიშნავს, ამიტომ არისტოს გადაატეხეს თავზე მთელი პასუხისმგებლობა.

„უნდა წამოდგე ახლა“, — გაიფიქრა არისტომ, — „გახვიდე და საჯაროდ ამხილო ეს ძმაბიჭობია და მაამებლობა! ბოლოს და ბოლოს, როდემდე შეიძლება ამის მოთმენა?!“ — თითქმის წარმოიდგინა კიდეც არისტომ, რომ გავიდა და დასჭექა, მაგრამ... „ჭკვიანად, არისტო! არ აჰყვე გულისთქმას! არ შეცდე!“ — შეუძახა საკუთარ თავს, „სხვები როგორც ითმენენ, შენც ისე მოითმინე! აღარ გინდა ხვალ სამსახურში მოსვლა?“ — გაიფიქრა არისტომ, ხელი ჩაიქნია და... ადგილიდან არ დაძრულა!..

სამსახურიდან გამოსულმა არისტომ გზაჯვარედინზე მოხუცი დაინახა, უმწეოდ ქანაობდა, ვერც გადასვლას ახერხებდა, ვერც — უკან დაბრუნებას... მერე ადგილზე ჩაიკეცა. „რა ხალხია, კაცო?! ხელს კი არავინ წააშველებს საბრალოს!“ — გაიფიქრა მან, ხელი ჩაიქნია და... ჩქარი ნაბიჯით ჩაუქროლა მოხუცს, მაგრამ... სწორედ ამ დროს გაისმა დამუხრუჭების საზარელი ხმა და არისტოს თვალთ დაუბნელდა!.. როცა გონს მოვიდა, შუა გზაზე ეგდო, ირგვლივ კი ხალხი ეხვია.

— ნეტავ, ვინ არის? კიდევ კარგი, რომ გადარჩა! შველა უნდა ამ საცოდავს! — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

არისტოს დალაპარაკების თავი არ ჰქონდა, მაგრამ მადლიერი თვალებით შეხედა ამის მთქმელს, რომელიც ერთხანს იქვე წრიალებდა, მერე... ხელი ჩაიქნია და... წავიდა!..

— მართალი თქვა, ხომ იცი, იმ კაცმა! შველა სჭირდება საწყალს! — დაუმატა მეორემ, ერთი-ორ კაცს მოუყვა შემთხვევის ამბავი, მერე ხელი ჩაიქნია და... პირველის კვალს მიჰყვა!..

— რა ხალხია, კაცო?! ადამიანი სისხლისგან იცლება და კი არ მიეშველებიან! — საყვედურის კილოთი ჩაულაპარაკა ვიღაც ახმახმა თავის თანამგზავრ ქალს და... აუჩქარებლად გაიარა!..

— მილიციას მაინც შეატყობინეთ! — დაიძახა ვიღაცამ, ხელი ჩაიქნია და... მოჰკურცხლა!..

არისტომ მწარედ დაიკვნესა, თვალები მილულა და ერთხანს სულ ჩაქნეული ხელები ელანდებოდა.

— ამას ხომ ვიცნობ, კაცო?! — ჩაესმა უცებ ნაცნობი ხმა, თვალები გაახილა და შეფრთხიალდა: მეზობელი ჩასცქეროდა სახეში. პირი დააღო არისტომ. უნდოდა, ეთხოვა, სახლში მიმიყვანეო, მაგრამ ნაცნობი სახე სადღაც გაქრა!.. „ნუთუ, ამანაც ჩაიქნია ხელი?!“ — გაიფიქრა არისტომ და რაღაც მწვავედ ჩასწყდა გულში!.. „ასეთ დროს ადამიანის მიტოვება?! ასეთი გულგრილობა?! ფუი, ეს რა ხალხია?!“

— რას გაჩერებულხართ, ხალხო?! დაშავებულს შველა უნდა! — დაიძახა ვიღაც ახალგაზრდამ და არისტო ხელში აიტაცა. „გზა მომეცით! მანქანა გააჩერეთ!“ — ესმოდა არისტოს. „რა კარგია, რომ ასეთი ადამიანებიც არსებობენ!“ — გაიფიქრა არისტომ და მთლად მიენდო ახალგაზრდას. ახალგაზრდამ საჩქაროდ ჰკითხა მისამართი არისტოს და, ათი წუთის შემდეგ, იგი თავის სახლში იყო მისვენებული. „დიდი მადლობა, მეგობარო! თუ კაცი ვარ, გადაგიხდი!“ — ჩაილაპარაკა არისტომ და მადლიერი თვალები თავის მშველელს მიანათა. მიანათა და გაშტერდა: მის წინ ის ახალგაზრდა იდგა, დღეს ტროლეიბუსში ჩანთას რომ უხსნიდა ქალს. „რის მადლობა, მეგობარო! ეს ჩვენი ადამიანური მოვალეობაა!“ — მიუგო ახალგაზრდამ და გაუჩინარდა. „მანქანის ფული მაინც გამომართვით!“ — მიაძახა არისტომ და ჯიბეს გაივლო ხელი, მაგრამ... ჯიბეები ამობრუნებული დახვდა. „ეჰ, მაშინ უნდა მეტაცნა ხელი მაგ არამზადისთვის!“ — გაიფიქრა არისტომ და ხელი ასწია, მაგრამ... გაახსენდა წელანდელი გულგრილობის სცენა... „ეჰ, კაცი მაინც ყოფილა!“ — გაიფიქრა და, პირველად თავის ცხოვრებაში, აღარ ჩაუქნევია ხელი!..

ვალერიან მამუკელაშვილი

# რა ოცნებაა, დაგვაძინეთ...!?

ვინ არ იცის, რომ ორგანიზმს,
დღის შრომისგან გადაღლილს,
პირველი სიდედრისგან
სამსახურში გადამალულს,
ავტობუსში, ტროლეიბუსში
მუჯლუგუნით გამოთქვეფილს,
ოთურმით და მუხლისცემით
ნამგალივით გამოწკეპილს —
წამოწოლა სჭირდება და
თბილ ლოგინში მოსვენება,
შუა ძილში კოხტა გოგოს
ზოგჯერ ცხადად მოჩვენებაც...
სიზმრად, მამალმერთის მსგავსად,
ნებივრობა და განცხრომა,
კლოხივით და შტირლიცივით
ხიფათიდან გამოძრომა.
იქ ხარ კაცი, უზენაეს
უფლებებით აღჭურვილი,
იტყვი, ხელად გისრულდება:
ხან — ბრძანება, ხან — სურვილი!..
და, როდესაც, თვალს მილულავ
და გოჭივით გატვრინდები.
შეუბერავ შენებურად,
გემრიელად ახვრინდები,
ხან მეფე ხარ, ხან — მსაჯული,
ხან — მექისე, ხან — ყასაბი,
გვერდს შეიცვლი, შეგეცვლება:
ხან — სიფათი, ხან — ფასადი,
ერთი სიტყვით, სიზმარია
ჩვენი გულის ანდამატი,
ამქვეყნიურ სიხარულის
თავსართი და დანამატი.
ძილი არის ორგანიზმის
უხელფასო დასვენება
და ლოგინში ძველისძველი
კინოების გახსენება.

* * *

ამას წინათ, სიზმრად, მრავალ
თვალ-მარგალიტს ვპოულობდი,
უწვალებლად, უზრუნველად
მილიონებს ვშოულობდი!..
და, როდესაც ჯიბეები
გავიტენე ათასებით,
როცა ირგვლივ აღარ დამრჩა
არაფერი გასავსები,
შარვალს ვეცი და ხვანჯარი
მოვიგლიჯე ტკიპივითა,
შარვლის ტოტი ამოვავსე
ოცლიტრიან ტიკივითა.
და, ის იყო, ვაპირებდი
განძის სახლში გადატანას,
ტიტლიკანამ შემოვძახე:
„ჯან, სულო!“ და „განდაგანა“.
მაგრამ, როცა დავმშვიდდი და
ვუწილადე განძი ყველას



(როგორც მახსოვს, ცოტა რამე
შეგახვედრეთ, მგონი თქვენაც!)
რის დოვლათი დავახვავე
და გავკეთდი დედალივით,
გავიმართე წელში კაცი
ომმოგებულ მხედარივით.
როცა ოქრო-მარგალიტი
წამოვიღე სახლში ტივით,
სწორედ მაშინ ახრიალდა
ვიღაც კაცი მოზვერივით:

— მაწონიიი!!!
გამეღვიძა და სიზმარი
ახლოს აღარ გამეკარა
და ნაპოვნი ოქრო-ვერცხლი
ხელებშუა გამეპარა.
სისხამ დილით მაწონს ვინ ჭამს?
ვინ გახდება სასაცილო?
რა იქნება, მოგვასვენოთ?!
რა იქნება დაგვაძინოთ?!

* * *

სამი დღის წინ, მუშაობით
დაღლილმა და დაქანცულმა,
ათასნაირ ფიქრებით და
საზრუნავით გაქაჩულმა,
რიყრაყამდე სასთუმალზე
ვიტრიალე შამფურივით,
საბნის ზემოთ დავცურავდი
აქაფებულ შამპუნივით...
და, როდესაც, ქანცგაწყვეტილს,
როგორც იქნა, ჩამეძინა,
სიზმრად ბროლის კოშკი ვნახე
და გიჟივით გამეცინა.
იქ ვცხოვრობდი და ის კოშკიც,
ოქროს ფურცლით მოფერილი,
სულ სხვადასხვა ფარჩეულით
მორთული და მოფენილი
ჩემი იყო!.. და მეც იქვე
ვნებივრობდი, ღმერთის სწორი,
მოხსენებებს მიმზადებდა
თვითონ ჩვენი დირექტორი.
მისი ცოლიც, ჩვენს მანქანას
რომ ეძახდა ტრულალასა,
მის შოფერს კი — თავის სახლის
პატენტიან ხუმარასა, —
დღხით გავლას მივაჩვიე,
მოვაშორე ტრესტის ავტოს
და ქინძისთვის, ბაზარ-ბაზარ,
დადიოდა მარტოდმარტო...
ტრესტის მმართველს მასებურად
ვუყვირე და ვუღრიალე,
სულ უბრალო რამისათვის
მკვდარ-ცოცხალი ვუტრიალე.
მერე მოვდექ და ისინი,
ვინც დღე და ღამ მამწარებდა,
ვინც იესო ქრისტესავით
მტანჯავდა და მაწამებდა,
გამოვლანძღე და ბრძანებაც
მათრახივით მოვიხმარე
და, იმ რაღაც ერთ საათში,
გული კარგად მოვიფხანე!..
მერე ვბრძანე და სუფრაზეც
გაჩნდა შემწვარ-მოხრაკული,
რა ნამცხვარი ათასგვარი,
ფერად კრემით მოხატული!
მაგიდებზე სართულ-სართულ
დაწყობილი საჭმელები:
ხიზილალა, ზურგიელი,
სათალი და სარდელები!
ერთი სიტყვით, ჩვენი ტრესტის
სასადილოს გამგის ჯინზე,
მოდიოდა საჭმელები,
ყველა თავის დრო და რიგზე.



ისე ყველამ გაიხაროს,
როგორც მაშინ გავიხარე, —
ავილე და ჩიტის რძითა
ხელი, პირი დავიბანე!..
და როდესაც მოვისურვე
ღვინით სავსე ყანწის შესმა,
სწორედ მაშინ ვიღაც კაცის
შეძახილი შემომესმა:
— ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი ს მ ი წ ა ა ა ა!!!
გამეღვიძა და სიბრაზით
საბანს ფეხი დავუშინე
და მეუღლეს, საქმით დაღლილს.
კიდევ საქმე გავუჩინე.
კარგა ხანი მახველებდა.
ვიხრჩობოდი ნერწყვის ყლაპვით
და მეუღლე აკერებდა
გამოხეულ საბანს ძაფით.
მომეშხამა ხასიათი,
გავხდი ცოლის სასაცილო!..
რა იქნება, მოგვასვენოთ?!
რა იქნება, დაგვაძინოთ?!

* * *

წუხელ, თითქოს, ორღობეში
მოვდიოდი მაყვლის ჭამით,
ტანზე მეცვა ძველებური,
გაცვეთილი შინლის ჯლანი.
თავზე — ძველი ნაბდის ქუდი,
საცოდავად დაძენძილი,
ახალუხი — ალაგ-ალაგ
დაგლეჯილი, დაკენკილი.
მხარზე — ჩანთა, ილლიაში
ხმელი პური ამოჩრილი,
წვივსახვევი — ტალახისგან
ერთიანად ამოსვრილი...
იქვე — ქოხი და საწოლი,
გატენილი ხმელი თივით,
ჯამზე — მჭადი, გალეული
ნატიფარი სტუდენტივით,
ეზო-ღობე გარღვეული,
ჩაკიდული ვედრო ჭაში,
ბოძს მიკრული ქვის ნატეხი —
აპრეხილი, ვით ულვაში.
გალეული ცულის პირი,
გაცვეთილი კევრის კაჟი!..
ერთი სიტყვით, ძველებური
ჩვენი სოფლის პეიზაჟი!
მივდიოდი და მზეც თავზე
დამბუუტავდა, როგორც კვარი,
ქანაობდა ცის ტატნობზე,
ჯანჯუხივით ჩამომხმარი...
და ვფიქრობდი: „ერთი პური
ყველას როგორ გავაწვდინო?!
შიმშილი და გაჭირვება
ოჯახს როგორ ავაცდინო?!“
უნუგეშომ საწამლავი
გადავყლაპე დიდი კოვზით
და უეცრად კაცი გავხდი
ფრთაფარფატა ანგელოზი!..
ცად ავიჭერ და მამალმერთს
დავუქნიე თითი მკაცრად,
ვუთხარ: „თუკი კაცს გააჩენ,
უნდა იგრძნოს თავი კაცად!“
საჩივრის წიგნს ჩავუჯექი,
გამოვუვსე საჩივრებით,



საყვედურიც ჩავუწერე,
უკანასკნელ გაფრთხილებით!..
მომეხვია ფეხებზე და
ხმისკანკალით მთხოვა შველა!
მაგრამ, ამ დროს, შემოსძახა
ვიღაც კაცმა ნელა-ნელა:
— ბ ა ტ ი ბ უ ტ ი ბ ო თ ლ ე ბ ზ ე!!!
გამეღვიძა და ცხოვრებას
გადავხედე ღია თვალით,
ვთქვი: „აფერუმ ჩვენს ქვეყანას!
რანი ვართ და რა ვიყავით!
როგორ მოვრთეთ დედამიწა,
როგორ სწრაფად შევიცვალეთ!
რა პირწმინდად ამოვძირკეთ
სიდუხჭირის ფესვი მწარე!
როგორ დაჭკნა გაჭირვება,
როგორ დადნა სიღარიბე!
როგორ კარგად გაიხარა
სიუხვემ და სიხალისემ!
სად წავიდა შარვლის ტოტზე
მიჯღანული ნაკერები?
ან გლეხკაცის ფეხის ტერფზე
ქალამანის ნარჩენები?“ —
გავიფიქრე და სიცოცხლე
კიდევ უფრო შევიყვარე,
გარეთ გაველ და ის კაცი
ჩვენს ეზოში შევიყვანე.
მერე სახლი, კარმიდამო,
სათითაოდ დავატარე,
და, რაც მქონდა ძველი ბოთლი,
ყველა მუქთად გავატანე.
თან ვუთხარი: „ხელმეორედ
ნუ დაიწყებ, ძმაო, ყვირილს!
კაცი არ ხარ, დალოცვილო?!
დაგვაცალე დილის ძილი!“
ახლა, როცა სამსახურში
ყველა წამი იზომება,
კაცის შრომა მზეზე გამხმარ
ტარანივით იწონება,
როცა წამის მეათედიც
ბულალტერის ციფრებს მისდევს,
როდესაც პულსს უსინჯავენ
ღრუბლებსა და მწვანე მინდვრებს,
უნდა თვით შენ იმუშაო
იმგვარი [illegible],
რომ, [illegible], ვერ მოგდევდეს
გაოცებული მანქანები!
ღამე უნდა დაიძინო
იმნაირი მყარი ძილით,
რომ ძილ-ბურანს არ გირღვევდეს
ვიღაც კაცის მოძახილი.
რომ თათბირზე, მეორე დღეს,
არ წამოგცდეს „ბატიბუტი“,
მეშუშე არ მოგელანდოს,
თავის ყველა ატრიბუტით.
რომ დაზგასთან, საქმის ნაცვლად,
არ იფიქრო სასთუმალზე,
თვალები არ გაგირბოდეს
დაძინების „ხალტურაზე“.
რომ ცხენივით ფეხდგომელას
ღუმელთან არ დაგეძინოს.



რომ ფხიზელ კაცს კონტრაბანდად
სიზმარი არ ჩაგეცილოს!
ამიტომ, გთხოვთ, მაწვნით, შუშით
„მაროუნით“ ნუ დაგვამცირებთ!
გევედრებით, ნუ ყვირიხართ!
გევედრებით, დაგვაძინეთ!

ნახ. გ. ფირცხალავასი



— სად არის, ქალო, მეორე ჩექმა?!
— ფული აღარ მეყო!..

**განცხადება**

**ვაკეში** სამოთახიან, იზოლირებულ, გაზირებულ, ორმაგად შემინულლოჯიიან კეთილმოწყობილ ბინაზე, რომელსაც აქვს ყველა დამხმარე და არადამხმარე სათავსო (სარდაფი, ჭურ-მარანი, გარაჟი და მისთანანი), ერთი აგარაკიც რომ დამიმატოთ კიკეთში ან წყნეთში, თუნდაც ზღვაზე ან ტბაზე (დავუშვათ, რიწა), არავითარ შემთხვევაში, სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, მაინც არ გავცვლი „ნახალოვკის“ მივარდნილ კუთხეში მდებარე ერთოთახიან, კეთილმოუწყობელ... ლუდის გასაყიდ ჯიხურს!

განცხადება ნახა და გადმოიწერა **ვაჟა ჩორდელმა**




**ყველაფერი** იმით დაიწყო, რომ ოფიციანტს საჩივრის წიგნი მოვთხოვე.

— წიგნი ადმინისტრატორთანაა! — მომიგო მან და მაგიდებს სლალომისტივით ჩაუქროლა.

— მაშინ ადმინისტრატორი მოვიდეს აქ! — მივაძახე გაბრაზებულმა.

— რას მიბრძანებთ?! — ძახილის ნიშანივით ამეტუზა ხმელ-ხმელი ადმინისტრატორი. როცა ავუხსენი, რომ მწვადი შეუწვავი იყო, ჭურჭელი და სუფრა — ჭუჭყიანი, ხოლო ოფიციანტმა ექვსი მანეთი ზედმეტი ამატყავა და ახლა საჩივრის წიგნს მოვითხოვ, ეს ორმეტრიანი კაცი კითხვის ნიშანივით მოიხარა.

— ნუ ინებებთ მაგას, პატივცემულო!.. ლონდა, მოეთრიე აქ! უანგარიშე თავიდან!

— ერთი მწვადი! ერთი სულგუნი! სალათა! ერთი პური! ღვინო! — აკაკანდა ოფიციანტი. — სულ შვიდი მანეთი და ორმოცდაცხრა კაპიკი!

„ატყავებული“. თანხა სასწრაფოდ უკან დამიბრუნდა. ადმინისტრატორი დამპირდა, ოფიციანტს სასტიკ საყვედურს გამოვუცხადებ, პირად საქმეში შევტანინთო. არც მე დავრჩენილვარ ვალში და ჩემი მხრიდან შევპირდი, რომ ამ ინციდენტს, ჟურნალში თუ არა, გაზეთში მაინც გამოვაქვეყნებდი.

ნაცნობ-მეგობრები სიტყვის კაცად მთვლიან. არც ახლა მიღალატია ტრადიციისათვის და სამ დღეში ჩემი ფელეტონი გაზეთის მესამე გვერდზე იწონებდა თავს შთამბეჭდავი სათაურით. მალე შედეგიც შევიტყვე: სათანადო ორგანოები დაინტერესებულან ჩემი ფელეტონით და ადმინისტრატორი და ოფიციანტი სამუშაოდან დაუთხოვიათ.

გავიდა დრო. ერთ მშვენიერ დღეს ქალაქგარეთ მოვხვდი. საღამო ხანი იყო. კარგად მოშიებული გახლდით და უახლოეს რესტორანს მივაშურე. თითქმის ცარიელ დარბაზში ერთ-ერთ თავისუფალ მაგიდას მივუჯექი და მენიუ გადავშალე.

— რას მიირთმევთ?

ზემოთ ავიხედე. თავზე ის ჩემი ნაცნობი ოფიციანტი წამომდგომოდა! ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ვინმეს დანაშაულზე წავასწარი. იგი კი იდგა და ეშმაკურად იღიმებოდა.

— ქალო, შენ აქ რა გინდა?! — ამოვღერღე, როგორც იქნა.

— ვმუშაობ, ბატონო!

— აკი მოხსნესო?

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ ჩვენს დარგში ეს სიტყვა სულ სხვანაირად ჟღერს. მოხსნეს, ესე იგი, სხვაგან გადაიყვანეს! ასე რომ!..

— ფელეტონი თუ წაიკითხე?

— როგორ არა! მაგ საქმეში ცუდად ვერკვევი, მაგრამ რაკი დაუბეჭდავთ, ესე იგი, კარგად დაგიწერიათ. წერეთ, ბატონო! ჟურნალისტი ბრძანებულხართ! თქვენი პროფესია ეგ არის! უნდა წეროთ, აბა?!.

რესტორანი ცივად დავტოვე. მივდიოდი და ყურში ჩამესმოდა იმ ოფიციანტის სიტყვები: „წერეთ, ბატონო, წერეთ!“

ვაჟკაცობა არ ეყო, თორემ, ალბათ, იმასაც მეტყოდა, წერე და იკითხეო!

**თამაზ ჯეირვილი**



— ფეხსაცმელები ხომ მაყიდვინა?! ახლა მანქანას მთხოვს, ფეხით ველარ დავდივარო!..

ფერენც კიდვეგი
(უნგრეთი)

## შტამპი

ბიუროკრატს შტამპი უყვარს,
თუნდ არ იყოს საჭირო!
უიმისოდ, სული თვისი,
რარიგ წარმოაჩინოს?!
არ მეგონა, თუკი ამდენ
ფორმალობას ვნახავდი:
მოითხოვენ, ბეჭდიანი
იყოს ყველა ქაღალდი!
დავქრი ყველა კაბინეტში,
დამცემია თავზარი! —
ყველგან შტამპი!.. შტამპი!.. შტამპი!..
აღარ უჩანს საზღვარი!
ეს სირბილი მთელი ყოფის
გზაზე გამიგრძელდება
და, უშტამპოდ, ალბათ, პირის
პარსვაც გამიძნელდება!
მეგობრებო, რომ იტყვიან,
უფალმა გვყოს დღეგრძელი!..
მაგრამ, ბოლოს, თუ სიკვდილიც
უშტამპოდ ვერ შევძელით?!
ბიუროკრატს შევებრძოლე
მთელი ჩემი არსებით,
დასათრგუნად ფელეტონი
საკმაოა სავსებით!
თუმცა, ეჭვი მეპარება,
გავუსწორდე პარაზიტს, —
აბა, როგორ წაიკითხავს,
მას ხომ შტამპი არ აზის?!

თარგმნა შ. აჭირანაშვილმა

# მივლინებაში, დავით გურამიშვილთან ერთად!...

**გარი მეტრეველი**

**ზნაურის** რაიონის სოფელ ავნევის კოლმეურნეობის კანტორის ეზოს დავით გურამიშვილის ბიუსტი ამშვენებს.

— ჩვენი კოლმეურნეობა დავით გურამიშვილის სახელობისაა. — განმარტებას გვაძლევს კოლმეურნეობის თავმჯდომარე გოგი მაისურაძე.

შევყურებთ დიდ პოეტს, უბადლო სატირიკოსს და საუკუნეების მიღმიდან გვესმის მისი ზარივით ხმა:

**„მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად, — ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“.**

ავნევში სასოფლო ნაგებობათა მშენებლობების რია-რიაა.

ძროხებს, ღორებსა და ქათმებს დღეს აღარ „აკმაყოფილებთ“ პრიმიტიული თავშესაფარი: პირუტყვი და ფრინველი კატეგორიულად მოითხოვს ელექტროგანათებას, ცენტრალურ გათბობას, წყლის შეუფერხებლად მიწოდებასა და კონვეიერს. ავნეველებმაც სწორედ ასე დააპროექტებინეს ქათმების ფერმა, საძროხე და საღორე...

**„კარგ საქმეზედა მიბაძვა არ არის დასაძრახია!“** — გვეუბნება გურამიშვილის აჩრდილი, რომელიც მეგზურივით მოგვყვება მშენებლობის დასათვალიერებლად.

— ვინაა მშენებელი? — ვეკითხებით თავმჯდომარეს.

— სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მესამე ტრესტის ოცდამეოთხე მოძრავი მექანიზებული კოლონა, — სულმოუთქმელად გვპასუხობს გოგი.

— ხელმძღვანელები?

— ტრესტის მმართველია აბულაძე. კოლონისა — მძინარაშვილი.

**„ვერა ვნახეთ რა მაგისი ღრმად საქმე მინაწვდომარე, რაზედაც მიდგა, არ დარჩა ის საქმე წაუხდომარე“.** — გულისტკივილით ამბობს აჩრდილი.

მივყვებით ატალახებულ გზას და ჩვენი უკვდავი მეგზური ყურში საიდუმლოდ გვიჩურჩულებს: **„იქით-აქეთ მიიხედე, ათვალიერეო!“**

მივყევით დავითის მცნებას, იქით-აქეთ მივიხედეთ და დავინახეთ, რომ არასწორადაა გაკეთებული წყალსაწრეტები, გზაც ამიტომაა ატალახებული და ტბორებად ქცეული. ცოტა მოშორებით, ღია ცის ქვეშ, გამოუყენებლად დგანან თბოგენერატორები. ქათმებს სცივათ, გენერატორები კი დეგენერატებივით უაზროდ არიან.

იქით-აქეთ ყურება არ დავიშალეთ და ფერმასა და საძროხესთან თვალში გვეცა რატომღაც ზურგშექცეული საღორე, თითქოსდა, განგებაო ისე აშენებული, რომ ქარისგან არ იყოს დაცული და საძირკვლიდან წყალმა გაყონოს.

**„სოფელს ერგო და სოფლელთ თქვეს: მრუდია, არა სწორდება“.**

პოეტ-გიდს დავეთანხმეთ, რადგან, მართლაც, საღორის გასწორება ახლა შეუძლებელია, თუმცა არის ერთი გამოსავალი: დაინგრეს და ხელახლა სწორად აშენდეს.

**„უცოდინრობა ავია, მაქვს მისი გამოცდილობა“.** — გვიზიარებს თავის აზრს გურამიშვილი.

მერე კი გოგი მაისურაძემ აიღო სიტყვა:

— საძროხე შარშან სექტემბერში უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ დღესაც არ არის მზად. აბა, რა ვქნათ? 160-კილოვატიანი ტრანსფორმატორი ვერ ვიშოვეთ. ისიც უნდა ვთქვა, რომ ეს ტრანსფორმატორი ყველა ნაგებობას ესაჭიროება.



**„მისგან წახდა, დაგვიანდა, საქმე კარგი დასაშური.“** — ეგ მართალია, — სიტყვა წაართვა გოგიმ დავითს, — მაგრამ მშენებლებმაც შეცოდეს: აი, უკვე კედლები დაიბზარა. რომ ვეუბნებით, მკვიდრად და ლამაზად ააშენეთ-თქო, გვპასუხობენ: რა მოხდა, რაო?! კლუბი ხომ არ არისო!

**„ბრძენი სიტყვითა დარჩების, ოსტატი — თავის ხელითა!“**

მართლაც საცოდავად გამოიყურებოდა საძროხე: სახურავი ისე ფათიფუთით გაეკეთებინათ, რომ ქარის ერთ წამობერვას შიფერი აეხადა.

**„აჩქარდნენ, ვეღარ გაშინჯეს, მათ საქმე საშინჯარია.“** — ზუსტად დაასკვნა სოფლის მეურნეობაში ფრიად გათვითცნობიერებულმა გურამიშვილმა.

— თავიდათავი მაინც ისაა, რომ მოწყობილობებს ვერ ვშოულობთ, თორემ ჯერ კიდევ 1973 წლის მეოთხე კვარტალში უნდა დამთავრებულიყო ფერმის მშენებლობა. წესით, მთელი ეს ფერმა მექანიზებული უნდა იყოს, მაგრამ, როგორც დარწმუნდით, ყველაფერი ისევ ძველ ყაიდაზეა. აი, თუნდაც წყალი, — ალაპარაკდა თავმჯდომარე, — ისევ ვედროებით უნდა ვეზიდოთ ზაფხულში, ახლოს მაინც იყოს! არადა, 6000 კვერცხისმდებელ და კიდევ ამდენ ქათამს რა დაარწყულებს?

აჩრდილმა მაღლა ალაპყრო ხელები და ალაღადჰყო: **„ღმერთო, გეაჯები, წყლით სავსე გეჯები შენ მომაშველე!“**

— ყველაფერს მოწყობილობებს ნუ აბრალებთ! ის, რაც გაკეთდა, მასაც ვერ მოუარეთ, ფერმაში არც ერთი ფანჯარა არაა მთელი, ან მშენებლობის ხარისხზე შეიძლება კარგი სიტყვა ითქვას? აბა, დახედეთ იატაკს!..

**„კაცს მართებს დაბლაც დახედვა, რაგინდ მაღლამდის აროსა, სიამპარტავნით ხარისხსა ძირი არ განებძაროსა.“**

ნანახმა და გაგონილმა საფიქრალი გაგვიჩინა: მთელ რესპუბლიკაში ერთი საქმე ჭირს: შენდება ფერმები, საღორეები, საძროხეები, სახბორეები და კიდევ მრავალი სხვა სასოფლო ნაგებობა, ხარისხიანად თუ უხარისხოდ ჩაიყრება საძირკველი, ამოვა კედლები, თითქმის მთავრდება ნაგებობა, მაგრამ... მოწყობილობები არა ჩანს. რაც გაკეთდა, ფუჭდება, ხელმეორედ გასაკეთებელი ხდება, მოწყობილობები კი ისევ არა ჩანს, დამკვეთი ვერ ახერხებს შოვნას. ამიტომაც შეიძლება ერთი გულუბრყვილო, მაგრამ მართალი კითხვა დავსვათ: ნუთუ, არ შეიძლება გაკეთდეს ისე, რომ ვიდრე მშენებლობა დაიწყება, წინასწარ იცოდნენ, იშოვნიან თუ არა საჭირო მოწყობილობებს? ან, მთლიანობაში, სასოფლო ნაგებობათა მშენებლობა ერთ ორგანიზაციას ხომ არ დაემორჩილოს? მაშინ სახსრების წალმა-უკუღმა გადაყრას ცოტათი მაინც ხომ მოეღება ბოლო?

**„თვით ქრისტე ბრძანებს: „ძნელია ორთა უფალთა მონება“, — იწამეთ ერთი უფალი, თუმცა გენებოთ ცხოვრება!“**

— როგორ მიგვიხვდა? ტელეპატიც ყოფილა დიდი მგოსანი.

— რა ჯდება თქვენი მშენებლობა?

— მარტო ქათმების ფერმა — ნახევარ მილიონამდე!

— საქმე გაკეთდეს, თორემ ფული რა სახსენებელია!

**„მუნ მობრძანდი, საჭურჭლესა მუდამ მზა არს ღია კარი, ლაშქარი და ხაზინაი — ვით გენებოს, მოიხმარი!“** — დარეკა ისევ გურამიშვილის ხმამ.

გოგი მაისურაძეზე სამდურავს ვერ ვიტყვით: იგი ახალი თავმჯდომარეა და, როგორც ამბობენ, კარგადაც უძღვება საქმეს. ეს მშენებლობა კი თავსატეხ მემკვიდრეობად მიიღო. ასეა თუ ისე, უკანდასახევი გზა არ არსებობს. ეს იცის ყველამ, მათ შორის „დავითიანის“ ავტორმაც:

**„გაქვს ნართი ავად დასთული, მრუდის ტარებით მძახაო, თუ ისევ შენ არ დასცერავ, სარგებელს ვერას ნახაო!“**

ახლა მშენებარე ფერმის ეკონომიურმა მონაცემებმა დაგვაინტერესა და მართლაც, რომ საოცრება ვიხილეთ: შავით თეთრზე წერია, რომ ავნევის ქათმების ფერმის აშენება, ეკონომიური თვალსაზრისით, მიზანშეუწონელია, რადგან იგი არ იქნება რენტაბელური (???). ამ ტექნიკურ-ეკონომიურ დასკვნას ხელს აწერს პროექტის მთავარი ინჟინერი ზ. სიმონიშვილი.

ყველაფერი გაუგებარია, ისიც, თუ რატომ შეადგინეს ასეთი პროექტი და ისიც, თუ რატომ დაიწყეს ამ პროექტით შენება.

**„თავს ასეთზედ ნუ იხარებ, ბოლოს ინანდეო, ასეთს ნურას მოივაჭრებ, რომ დასზიანდეო!“**

— ეგ, ადრე რომ თავმჯდომარე იყო, იმისთვის გეთქვა! — გაბრაზდა დიდ დიდაქტიკოსზე გოგი მაისურაძე.

არადა, როგორ შეიძლება ჩაითვალოს გონივრულად ასეთი საქციელი? უამრავი ფული ჩაყარო იმისათვის, რომ, ბოლოს, წაგება ნახო. თანაც ყველაფერი ეს წინასწარ იცოდე. იქნებ, ეს საქმე სპეციალური განხილვის ღირსიცაა.

**„ამ ამბის თქმა გარჩევითა, გულმა ამად არ ინება, ბევრი ავი გამოჩნდების ჩვენი, მაზე მერცხვინება... მტერს შაესმის, იამების, მოყვარეს კი ეწყინება, რასაც ახლა ვამბობ, ვგონებ, ამაზედაც მხვდეს გინება.“** — თავი დაიზღვია მომავალი დავიდარაბისაგან დავით გურამიშვილმაც კი. თუმცა, ბოლოს, გულმა მაინც არ მოუთმინა და უშტატოდ და უჰონორაროდ სამსახური შემოგვთავაზა: **„კვლავ შენ მე რასაც შემიკვეთ, ვიქნები შენი მუშაო.“**

უკეთეს კორესპონდენტს ვერც ვინატრებთ!




„როჰაჩი“. ბრატისლავა.



# „ნიანგის“ ფოსტა

ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციამ გასული წლის ზაფხულში რეიდი ჩაატარა. რეიდის მიზანი იყო ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის მუშათა სასადილოების შემოწმება. შემჩნეული ხარვეზები და შენიშვნები გამოქვეყნდა ჟურნალის ფურცლებზე („ნიანგი“ № 16, 1974 წ.) სათაურით — „ლუკმა, რომელიც ყელში არ გადადის!“ წერილში მოხსენიებული ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელობამ სათანადო დასკვნები გააკეთა და ღონისძიებებიც დასახა:

გორის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტი გვწერს: „...კომიტეტმა დაავალა გორვაჭრობის დირექციას, განახორციელოს საზკვების შემდგომი გაუმჯობესების სწრაფი ღონისძიებანი.

...სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა გორვაჭრობის მუშათა სასადილოების №2. 3, 9 და 16 გამგეებს (კუთხაშვილს, ხუციშვილს, რაზმაძეს და ფილიშვილს) მისცა შენიშვნა.

გორვაჭრობის საზკვების განყოფილების გამგეს ე. დემეტრაშვილს მიეცა შენიშვნა, ამასთან გაფრთხილებული იქნა, რომ თუ უახლოეს დროში მკვეთრად არ გამოსწორდება მუშათა სასადილოების მდგომარეობა, მის მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

კომიტეტმა დაავალა გორვაჭრობის დირექციას (დირექტორი ნ. ფალავანდიშვილი) კონტროლის საქალაქო კომიტეტის მიერ შემოწმებულ ობიექტებში არსებული დარღვევებისათვის № 3, 9, 14, 18 და 23 სასადილოების ხელმძღვანელებზე ადმინისტრატიული ზომების მიღება“.

წერილში — „ლუკმა, რომელიც ყელში არ გადადის“ — მოხსენიებული იყო აგრეთვე გურჯაანის, კასპისა და მარნეულის ზოგიერთი მუშათა სასადილოც. ალბათ, ჩვენი ჟურნალის აღნიშნულმა ნომერმა დღემდე ვერ ჩააღწია იქამდე.

* * *

ქვემო ავჭალიდან კოლექტიური წერილი მოვიდა. მისი ავტორები მოითხოვდნენ კვებვაჭრობის კეთილმოწყობილი მაღაზიისა და „სოიუზპეჩატის“ კიოსკის გახსნას. აღნიშნული წერილი რედაქციამ გადაუგზავნა ლენინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, საიდანაც პასუხი მივიღეთ: „გაცნობებთ, რომ „ქვემოავჭალელების“ კოლექტიურ განცხადებაში მოყვანილი ფაქტები ადგილზე შემოწმებით დადასტურდა.

ჩვენს მიერ №27 მაღაზიის №1 ფილიალის სასწრაფოდ შეკეთება დაევალა № 2 თბილკვებვაჭრობის დირექტორს ამხ. ჭკუასელს, ხოლო „სოიუზპეჩატის“ კიოსკის გახსნაზე საკითხი დაისვა „სოიუზპეჩატის“ ხელმძღვანელობის წინაშე“.



ნახ. თ. ფხიკიძისა

— დღეს პირველი აპრილი არ იყოს და, შენ გიჩვენებდი სეირს მოტყუებისათვის!

ნახ. ა. სკობარენკოსი



უსიტყვოდ

ნახ. ირ. გორდელაძისა



— ჩვენ მარტო შავი ზღვით როდი მოგვწონს თავი, ნელ-ნელა ხმელეთსაც ვაშავებთ!..

№ 338
1975
16.V

მთავარი რედაქტორი
ზურაბ გამაზაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ზ. გო... (...), ზ. კაციაშვილი, ჯ. ლომიძე, ბ. ლოლუა, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), გ. ნიშნიანიძე (მთ. რედ. მოადგილე), გ. ფირცხალავა, თ. ჭელიძე.
⊙ ტექნიკური რედაქტორი მ. კობახიძე, ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ⊙ სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ⊙ გადაეცა ასაწყობად 25/III-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/IV-75 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,4 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14 ⊙ შეკვ. 1286. უე 01886. ტირ. 135.000. ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, ი. გორდელაძე, ნ. ლუმბაძე, ვ. ქუთათელაძე, მ. ლომიძე, ქ. პაპიაშვილი, ა. სულთანიშვილი, თ. ფხაკაძე, მ. ხურცილავა.

-1975
75-338
Индекс 78137
ეროვნული ბიბლიოთეკა



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შავკანიანი მოსახლეობის უმრავლესობამ ბოლო წლები საპყრობილეში გაატარა.

ნახ. გ. ლომიძისა

— როგორ ახერხებთ თეთრების უმცირესობა ქვეყნის მართვას?!
— სულ უბრალოდ: შავების უმრავლესობა აგერ გვყავს!